№ 110 29 მაისი, სამშაბათი 1866—1879 29 მაისი, სამშაბათი № 110

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 38.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроеба".

გაზეთისფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მ ნ., სამისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible] ხაზზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**ფილიპოპოლი, 24 მაისს.** რუმელიის ახალმა გამგეობამ მილიციის საქმე გაჩხრიკა. გამგეობის აზრით, მილიციაზე დღემდის ერთობ ბევრი ხარჯი გადიოდა ალეკო-ფაშას და ბოლგარიის სასულიერო წოდებას შუა განხეთქილება ჩამოვარდა. რადგან მომეტებული ნაწილი თანამდებობის ადგილები იმან ოსმალოს მომხრე ჩინოვნიკებს და ლივანტიელებს დაურიგა

**ბერლინი, 24 მაისს.** გერმანია მხურვალე მონაწილეობას იღებს ეგვიპტეს საქმეში. გერმანია და ავსტრია ცდილობენ აგრეთვე, რომ ოსმალეთის ფინანსების გამგეობა არც ინგლისსა და არც საფრანგეთს არ ჩაუვარდეს ხელში.

**პარიჟი, 24 მაისს.** საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ მოაწერა დღეს ხელი უკანასკნელს დეკრეტს შესახებ პოლიტიკურ დამნაშავეების პატიებისა. ბლანკის სახელი ამათ რიცხვში არ ურევია; იმას 5 იენისის შემდეგ აპატიებენ.

**ლონდონი, 25 მაისს.** ჰერათიდამ მოსულ აელანის ჯარსა და ტეკეს თურქმენებს შუა შეტაკება მოხდა. თურქმენები დამარცხებული და უკუ-ქცეული იქნენ.

**ჩიკიშლიარი, 21 მაისს.** („თფილისის მოამბის" ტელეგრამმა) დღეს მოვიდა აქ ზღვით ღენ. ადიუტ. ლაზარევი თავის შტაბითა. ხალხი და ჯარები ალტაცებით მიეგებნენ იმას. ჩვენს ჯარში არავითარი ავათმყოფობა არ არის.

**პეტერბურღის ბირჟა, 25 მაისს.**
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 95 | 50 |
| მეორე — — — — — — | 94 | 75 |
| მესამესი — — — — | 94 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 94 | 50 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 93 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92 | „ |
| აღმოსავლეთის, მესამე — | „ | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8 | 47 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | 94 | 47 |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის — — | 241 | „ |
| მეორე სესხის — — — | 237 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—55 | პენსი |
| ამსტერდამი— — | 118— „ | ცენტი |
| ბერლინი— — — | 200— „ | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 248— „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — „ — „ | |

## საქართველო

### დღიური

*** „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრებს მოვაგონებთ, რომ დღეს, სამშაბათს, საღამოს 8 საათზე სადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქნება საერთო კრებლობა ამ საზოგადოებისა.

*** ერთი უკანასკნელი კითხვა უ. კუზმინსკის, ხასულიერო სემინარიის ინსპექტორს:

ამ წლის 2 იანვარს სემინარიის გამგეობამ დაითხოვა ეკონომობის თანამდებობიდამ უ. ი—ვი, რომელიც, როგორც უ. გრიგორიევსკის რევიზიიდამ აღმოჩნდა, ვერ ასრულებდა წესიერათ თავის თანამდებობას. უ. ი—ვს ეჭირა

## ფელეტონი

### საგმოგელი და საქებელი.

ცუდი რამ არის, ბატონებო, გულმოსულობა! ცუდი რამ!

ბევრი ადამიანი შერცხვენილა, დაზარალებულა, დაღუპულა გულმოსულობით რამე ნათქვამი სიტყვითა, ანუ რამე ნაწარმოებელ საქმითა.

ეს გულმოსულობა არათუ ურევს და უძნელებს კაცს გონებასა, არათუ უკარგავს ხოლმე მას ქკვიანურ მოაზრებასა და გონიერ მსჯელობასა, არამედ ბევრჯელ გადააქცევს ხოლმე კიდეც ადამიანსა რაღაც გადარეულ და გაბრაზებულ მხეცათა.

ცუდი, ცუდი რამ არის ეს გულმოსულობა; და ღმერთმა გვარიდოს ჩვენ ამ ბოროტებასა, როგორც ჩვენ კერძო ცხოვრებაშიდა, ისე ჩვენი სამშობლო ქვეყნის საზოგადო საქმეებშიდაც:

—

მე დავინახე ეს გულმოსულობა და შევკრთი, ამ გულმოსულობამ რომ ამოჰყო თავი ჩვენს კეთილშობილების საზოგადოებაში ბანკის კრების დროსა, მაშინ, როდესაც თავადებს და აზნაურებს მოახსენა კრების თავ-მჯდომარემ ბანკის წარსული წლის შემოსავლიდგან დახარჯული ათასი მანეთის ანგარიში.

ამ მოხსენებიდამ შეიტყო თავად-აზნაურობამ, რომ ზედამხედველ კომიტეტსა მიუწოდებია ორასიოდე მანეთი ორი გლეხიკაცის შვილისთვისა შესასრულებლად სწავლისა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელშიდა.

ეს გულმოსულობა მოედო თითქმის მთელ თავად-აზნაურობის საზოგადოებასა, წამოაყენა მან ფეხზედა თავის სარდლათა კრების შუაგულში მჯდომარე ნაადვოკატევი და ისევ გაადვოკატებული აზნაური მიხელ ყარახველიძე,— და ამ გულმოსულობამ იწყო ჯერ რატარატა უფალ ყარახველიძის გალესილ ენითა, და შემდეგ რატარატობისა როდესაც კულასაებრ მის მორაკრაკე ხმასა საზოგადოებამ მისცა ბანი, მაშინ ამ გულმოსულობამ შექმნა ერთი საშინელი სიტყვების რახა-რუხი, აზრების ბრახა-ბრუხი, კეთილშობილების ჭახაჭუხი ესე რომ შეიმქნა ერთი გრიალი ვაი-ვაგლახი, და ერთი საშინელი და საზარელი ტვინის ფურთვნა...

ვნახე მე ეს გულმოსულობა; ეს ბოროტი სული, ფრთებ შესხმული, რომელიც ზედ დაფრენოდა თავზედა კეთილშობილების საზოგადოებასა.

მესმოდა მე მრისხანე ხმა, ხმა საშინელი საყვედურობისა და მუქარობისა, რომელიც ქუხილივით მოისმოდა კრების დიდ ზალაშიდა.

—„როგორ თუ ჩვენი ბანკის ქისიდგან ორას მანეთამდი მიგიციათ ვილაც გლეხიკაცის შვილების შესაწევნათათ მაღალ სწავლის შესასრულებლათათ!.."

შესძახოდა ზედამხედველ კომიტეტსა გულმოსული საზოგადოება ისეთის მრისხანებითა, რომ კაცს ეგონებოდა, სწორედ გადაყლაპვას უპირებსო თავის თავმჯდომარესა, მთელ ზედამხედველ კომიტეტსა, ბანკის წესდებასა და თვით ბანკისაცა!

სემინარიის შენობაში ორი თუ სამი ოთახი და საყოველთაო ჩვეულების გვარად—იმას უნდა თავის თანამდებობასთან სემინარიის ოთახებიც დაეტოვებინა. რისგან არის, რომ დღეს, ხუთი თვის შემდეგ იმის დათხოვნისა, უ. Ი—ვი ისევ იგე სემინარიის შენობაში სცხოვრებს თავის სახლეულებით? რიგიანი და სინიდისიანი მისი სამსახურის სათასე არის ეს, თუ უ. ჟუვშინსკის გულ-მტკივნეულება მის ძველ მეგობართან ამ სახლების სიძვირეში?

რაც უნდა იყვეს ეს ფაკტი არის მინუში ახირებული მზრუნველობისა იმ საზოგადოების ინტერესებზე, რომელსაც მსახურებენ ეს კაცები.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება

მეოთხე სხდომა, 24 მაისს.

გაიხსნა 11 საათზედ.

თავმჯდომარემ წაიკითხა სიები და მერმე პროტოკოლები თხოვნებზე.

კირილე ლორთქიფანიძე. პროტოკოლების რიცხვში, რომელნიც თქვენ წაიკითხეთ, არ ურევია პროტოკოლი რეალურ გიმნაზიაზე.

თავმჯდომარე. (სვიმონ ლოლაბერიძემ უთხრა რაღაცა ჩუმათ და შემდეგ). მაგაზე ყოფილა ნათხოვი შარშანწინ.

კირილე ლორთქიფანიძე. მაშ პროტოკოლი უნდა იყოს დაწერილი; თუ შეიძლება წაგვიკითხეთ ის შარშანწინდელი პროტოკოლი.

თავმჯდომარე. პროტოკოლი აქ არ გახლავსთ, სახლში მაქვს.

კირილე ლორთქიფანიძე. თქვენ დაგიწერიათ პროტოკოლი ქართულის ენის თაობაზედ, რომელიც ყოფილა შარშანწინაც ნათხოვი, რატომ რეალურ გიმნაზიაზედაც არა სწერთ ხელახლა პროტოკოლს, თუ კი საზოგადო კრებამ გადასწყვიტა რეალურ გიმნაზიის თხოვნა?..

ვითხოვეთ, ვითხოვეთ! ერთ-ხმად შესძახეს.

სვიმონ ზუგუნავა. მე გუშინ ვითხოვე შეგეშვით კენჭში. მთელი კრება შეძრწუნდა და შეწუხდა იმ ჩემს თხოვნაზე. მართალია, გვიან გამოვცხადდი, მაგრამ არ მეგონა, თუ არ მომცემდნენ კენჭს. ეხლა დამითმია ეს საგანი, ბატონებო, ვარს ვყობ კენჭზე, კენჭის უქონლობა მე ჩემს ღირსებას არ წამართმევს! (ბრავო და ტაში).

ორმა კიდევ სთქვეს უარი.

თავმჯდომარე. ბატონებო, ჩემის აზრით, კამისია შემცდარა, რომ კნეინა ნინო გურიელისა არ მიუშვა კენჭში; უეზდის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს ვარლამ ერისთავსაც მოსვლია შეცდომა, როგორც თვითონ თქვა გუშინ; სეკრეტარის ბრალია და ამისათვის ნინო გურიელის ქალს ვუყაროთ კენჭი და სხვები მაინც უარს აცხადებენ.

მ. დარახველიძე. ვ. ერისთავს არ უთქვამს მაგ გუშინ, ეხლა თუ ამბობს, ეგ სხვაა.

ვარ. ერისთავი. არც გუშინ მითქვამს და არც დღეს ვამბობ!

თავმჯდომარე. მარწმუნებთ რაც ვსთქვი, სულ მართალია. ახლა ვუყაროთ კენჭი კამისიის აზრს, მართალია თუ არა, და ნინოს ცალკე ვუყაროთ.

— უკენჭოთ, უკენჭოთ! მიაყვირეს.

თავმჯდომარე. უფლება არა გვაქვს, კენჭით რომ გადავსწყვიტოთ.

ნიკ. ლოლაბერიძე. აღვილათ შეიძლება უკენჭოთ კადასწყდეს ეს საქმე. საზოგადოებას ასე სურს და რაღა საჭიროა კენჭის-ყრა.

თავმჯდომარე. მაშ ამ ნაირი რეზოლიუციით უყაროთ კენჭი: მივიღოთ ის პირები, რომელნიც კამისიამ მიიღო, და კნ. ნინო გურიელისა?

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!

— არა, არა!

კირილე ლორთქიფანიძე. ნუ აერთებთ ორს კითხვას; რამდენიმე სხვადასხვა აზრს როგორ ვუყაროთ კენჭი? იქნება მე მინდოდეს კამისიის აზრის გათეთრება და ნ. გურიელის არა; მაშინ რა ვქნა, როდესაც ერთათ აერთებთ და უყრით.

— არ შეიძლება ერთათ, არა... უკენჭოთ, უკენჭოთ! ატყდება საშინელი ხრიალი. ერთმანეთის გაგება არ არის.

თავმჯდომარე (ბევრი რაწკუნის შემდეგ). მაშ, ბატონებო, პროტოკოლი შევადგინოთ და ხელი მოაწერეთ ზედ.

კიდევ ხრიალი.—კარგი! კარგი!.. არა, არა!

ამნაირი გაცხარება ამისთანა უბრალო საქმეზედ არ გამიგონია. მთელი ორი დღე ლაპარაკია, მივიღოთ ოთხი კაცი თუ არ მივიღოთ; თუ მივიღოთ, რა წესით, როგორ? და ამისთანები.

ეს გულმოსულობა ცეცხლსუ კიდებდა თავის ბოროტი სულითა მთელ კეთილშობილ საზოგადოებასა; მაგრამ ღვთის მიდლითა და განათლების წყალობითა, ვერ დაიმონავა ამ ბოროტმა სულმა ზოგიერთი კეთილშობილნი და გონიერნი ახალგაზდანი, რომელთაც დავით მიქელაძის პირითა მოახსენეს პირ-და-პირ განრისხებულ საზოგადოებასა შემდგომი:

—ჩვენ გვრცხვენია, ბატონებო, გვრცხვენია რომ ამისთანა საყვედური წარმოითქვა ამ ჩვენ კეთილშობილ საზოგადოებაში მიხაილ დარახველიძისაგანა, რომელსაც ასე დაუფიქრებლად თანაუგრძნობს თავად-აზნაურობა... ამ საყვედურსა თქვენ უცხადებთ ზედამხედველ კომიტეტსა ორასი მანეთის თაობაზედ, რომელიც მას მიუწოდებია ორიოდე გლეხიკაცის შვილისათვის, რომელთაც დასჭირებიათ ამგვარი შეწევნა სწავლის შესასრულებლად იმ მაღალ სასწავლებელში, სადამდინაც მიუხწევიათ იმათ თავიანთ ბეჯითობითა და შრომითა.—სირცხვილია, ბატონებო, ეს; სირცხვილი კეთილშობილ საზოგადოებისათვის ესრედ საყვედური ამგვარი საქმისათვის! ათასი წელიწადი მუქთად გვემსახურებოდა, მუქთად გვარჩენდა ჩვენ ეს გლეხკაცობა თავის ოფლითა, და თქვენ, კეთილშობილნო, ასე დასტირით იმ ორას მანეთსა, რომელიც მთელი ჩვენი საზოგადოების მხრითა დახარჯულა ამ გლეხი კაცის შვილზედა, იმ ჩვენივე მამულის შვილზედა! სირცხვილია ეს, ბატონებო, სირცხვილი ჩვენი საზოგადოებისათვის!..

ორმოციოდე კეთილშობილ და სწავლულ ახალგაზდობამ მხურვალე ტაშის კვრითა თანაუგრძნო დავით მიქელაძისაგან წარმოთქმულ სიტყვებსა.

და ეს სიტყვები, რომლებშიდაც ღაღადებდა ქრისტიანული სიყვარულობა და ბრწყინავდა ნამდვილი კეთილშობილური გრძნობა, ისარივით ეცა გულში იმ ბოროტსა სულსა, იმ ტყის ნადირსა, რომელსაც სახელად ჰქვია „გულმოსულობა“,—ეცა ისარივით და თუმცა ვერ მოჰკლა იქვე მაშინვე ეს ნადირი, მაგრამ დაკოდით კი საშინლად დაჰკოდა...

და ესრედ დაკოდილმა „გულმოსულობამ“ უფრო გააცეცხლა საზოგადოება, და გაცეცხლებულმა ყვირილითა, კიჟინითა, მრისხანებითა მოათხოვნინა თავის თავმჯდომარესაგან კენჭი და კოლოფი.

—ბანკის წესდება უნდა შეიცვალოსო! ჰყვიროდნენ გათამამებული დარახველიძე და მისი თანაშემწენი.

—ვინც მსესხებელია და არა დამფუძნებულიო, ესე იგი ვინც კეთილშობილნი არ არიანო, ისინი გამორიცხულნი უნდა იყვნენ ჩვენი ბანკის სარგებლის მონაწილეობიდგანაო და თვით ბანკის წესდების შეცვლიდგანაო! გამოაცხადა სარდალმა.

თავმჯდომარემ ჯერ უარი მოახსენა ამაზედ:

—თქვენი თხოვნა არის ურიგო, უკანონო თხოვნაო; მაგ წინადადების მეწყნარება ამ ჟამად არ შეიძლებაო...

—როგორ თუ არ შეიძლებაო!.. ეხლავ კოლოფი სტოლზედაო და კენჭები თეფშზედაო... შესძახა ბძანების ხმითა განრისხებულმა საზოგადოებამ თავისვე ამორჩეულ თავმჯდომარესა, ასე გაუპატიურებულსა ამისთანა უმორჩილობითა და ბრძანებლობითა.

თავმჯდომარემ ვერ დაიმორჩილა საზოგადოების უწესოება და თვით დაემორჩილა ამ უწესოებასა...

ეს დიდათ სამწუხარო იყო.

დადგეს კოლოფი და დაეწყეს კენჭის სროლა.

საზოგადოების გულმოსულობამ, რომლის წარმომდგენელი იყო მიხეილ დარახველიძე, სძლია ზოგიერთ ახალგაზდების ჰაზრს, რომლის ბაირახი ეჭირა ხელში დავით მიქელაძესა.—

დარახველიძემ გაიმარჯვა სამასი კენ-

**თავმჯდომარე.** პროტოკოლი შევადგინოთ ამ ნაირი: ის ოთხი პირი, რომელნიც კამისიამ მიიღო, მეიღოთ ჩვენც, აგრეთვე ნინოც—დანარჩენი უარს ამბობენ.

**ანტ. ლორთქიფანიძე.** არა ვართ მაგისი თანახმა, არა!

**გიორგი ლოლაბერიძე** (კანონები ხელში უჭირავს). თავმჯდომარეს აქვს ნება დაადგინოს კითხვა ამ კანონის ძალით; თქვენ არაფერი არ შეგიძლიათ..

**ანტონ ლორთქიფანიძე.** გადაწყვეტა ვისი ნებაა?

**გიორგი ლოლაბერიძე.** გადაწყვეტა კრებისა, რასაკვირველია, კენჭით—აი ახლავე წაგიკითხავთ (შლის ფურცლებს).

**ა. ლორთქიფანიძე.** Смѣшно читать постоянно эти законы, какъ ты читаешь.

**გ. ლოლაბერიძე** (გაჯავრებული). Да позвольте-же!

კრებაში სიცილია. წაიკითხავს კანონის მუხლებს: თავმჯდომარეს აქვს ნება დაადგინოს როგორიც უნდა ჰკითხვა და კრებამ კენჭი უნდა უყაროს.

ამ დროს გაძოისმის ხმა:

—მალიკაშვილს სიტყვა აქვს, სიტყვა!.. მალიკაშვილი კენჭიდამ გამორიცხულია.

**მალიკაშვილი.** პროტოკოლში სხვა-ფრიგად ჩემი სახელი. ხმაი წამართვით, აქედან გამაგდეთ და ახლა დავითაი დამარქვით! ვაი წაგხდი, დავითაი ჩვენში ურიაი კი გამიგონია და ქრისტიანი არა!..

საშინელი სიცილი და ხარხალია.

ბოლოს, ბევრი ყაყანისა და ყვირილის შემდეგ, ჰყარეს კენჭი და კამისიისაგან მიღებული პირები მიიღო კრებამ და კნ. ნინო გურიელისა..

**სვიმონ წულუკიძე.** პასუხს ვითხოვ გ. ლოლაბერიძისაგან და გ. გებურიშვილისაგან: მაგენი რომ გუშინ წინაალმდეგი იყვნენ ამ აზრის, რომ მიგვეღო კენჭში ეს პირები, დღეს რატომ აღარ არიან? მე თუ რამეზე დარწმუნებული ვარ და მართალი აზრი მგონია, სიკვდილამდი არ ვუღალატებ. ეს რას გავს მაგენის მხრით, გუშინ არაო და დღეს კიო!

— ბრავო, ბრავო!

**გ. ლოლაბერიძე.** რა ვუყოთ მერმე, დავა გვქონდა და შევრიგდით... მოვრიგდით.

— არ ვარგა! არ ვარგა.. შერიგება რას ქვია! რას მიქვია მორიგება!..

სხდომა გათავდა ორს საათზე.

პ. მეხი.

---

# უცხო ქვეყნები

## გერმანია

წასრულ კვირაში, გერმანიის მმართებლობის სფერაში ერთი დიდი და მოულოდნელი ცვლილება მოხდა. ფ. ფორკენბეკი, გერმანიის პარლამენტის თავ-მჯდომარე, რომელიც ცამეტი წელიწადი ასრულებდა თავ-მჯდომარის მოვალეობას ჯერ პრუსიის პარლამენტში და 1871 წლიდამ გერმანიის პარლამენტში, და ამასთანავე იყო ბერლინის ქალაქის თავი, ბისმარკის მოქმედებით, უეცრივ, იძულებული შეიქნა დათხოვებულ იყო თავის მოვალეობას. ამის მიზეზი, გარდა მცირედის უთანხმოებისა ამ ორ კაცს შუა, იყო ის ბისმარკისაგან შემოტანილი პარლამენტში პროეკტი სხვა სახელმწიფოებიდამ გერმანიაში მოტანილ პურს ახდევინონ მომეტებული ბაჟი ას კილოგრამზე თითო მარკა. მპართებლობის ოპოზიციის წყობა და თითონ ფორკენბეკი იმ აზრისა იყვნენ, რომ ბაჟის მომატება გერმანიაში პურის ფასს ასწევს და ხალხი შეწუხდებაო. ბისმარკი კი ფრიად რიბერალურად, იაგრამ უფრო უსაფუძლოდ, ამტკიცებდა, რომ როდესაც გარეშე ქვეყნებს გაუჭირდებათ აქ პურის შემოტანა თითონ ჩვენი გერმანიელები კარგა მოკიდებენ ხელს პურის მოყვანასაო და ამით ჩვენი ქვეყნის კეთილ-დღეობა აიწევსო. ამისგარდა ბევრ სახელმწიფოებს საშველი არა აქვთ არ გამოგზავნონ აქ თავიანთი პურიო. ეს ბისმარკის წინადადება კი მიიღო პარლამენტმა 107 ხმის უმრავლესობით, მაგრამ ფონკენბერკმა, თავმჯდომარემ და მისმა ვიცე-პრეზიდენტმა თხოვნა შემოიტანეს და პარლამენტს თავი დაანებეს. მათ მაგიერ აირჩიეს: თავ-მჯდომარეთ ზეიდევიცი და ვიცეპრეზიდენტათ ფრანკენშტეინი.

---

ქითა. დავით მიქელაძისაგან გამოცხადებულ ნამდვილ კეთილშობილურ გრძნობასა ამოუვიდა მხოლოდ ორმოციოდე კენჭი..

მაგრამ ვაი ამისთანა სასირცხო საქმეში გამარჯვებასა!

თუ ნაძრახ სიცოცხლესა სჯობიაო სახელოვანი სიკვდილი, მიხეილ დარახველიძის სასირცხო გამარჯვებასა ათასჯერ უფრო უნდა სჯობდეს და კიდეც სჯობია დავით მიქელაძის სახელოვანი დამარცხება.

გამარჯვებულ სარდალსა ხელში ეჭირა დროშა, რომელზედაც ეწერა შავის მელნითა:

„კეთილშობილის და გლეხის შუა უკავშირობაო!“

დამარცხებულ სარდალს ეჭირა ხელში დროშა, რომელზედაც ბრწყინვალე და ნათელი ასოებითა ეწერა:

„კეთილშობილ და გლეხ შუა ძმობაო, და მამულის ყოველ საზოგადო საქმეში ერთად ჰყოფნაო!“—

საკვირველი იყო! ადვოკატი მიხეილ დარახველიძე, აზნაურიშვილი თითქო თაკილობდაო გლეხი კაცი შვილის გარევასა ჩვენ კეთილშობილების საზოგადოებაში, მაშინ როდესაც თავადიშვილი დავით მიქელაძე ლუბერნიის მარშლად ნამყოფი კაცის შვილი, ძმურად ხელს უშვერდა გლეხ კაცობასა, და თითქო ეუბნებოდა კეთილშობილურ მაღალგრძნობითა ამ გლეხ კაცის შვილსა:

—„ერთად, ძმაო, ერთად სიცოცხლე და სიკვდილიო!“

(დასასრული შემდეგ №-ში.)

---

# განცხადებანი

# თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის ბანკის წესდების § 16-ის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1879 წლის 30 ივნისს (თიბათვეს) შუადღეზედ, ქალაქს თფილისში ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ყორღანოვის სახლში № 3, დანიშნულია გასყიდვა (ხელმეორედ ვაჭრობა აღარ დაინიშნება) იმ პირთ უძრავ ქონებისა, რომელთაც ბანკიდამ ვალი აიღეს და, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 ძალით, დანიშნულ ვადაზე ვერ შემოიტანეს ხვედრი გადასახადი:

**ტერ-მიკირტიჩიანცის**, ქრისტეფორე ნიკიტის ძისა—სამ-ეტაჟიანი ხის სახლი სხვა-და-სხვა შენობებით და მიწით $634^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თფილისში მე-11 განყოფილების მეთორმეტე უჩასტკაში, ჩუღურეთში, რომელი მამულიც ანდერძით ქმრისაგან სოფიო მიხეილის ასულის ტერ-მიკირტიჩიანცის სამუდამო მფლობელობაში გადავიდა. თავნი ვალი აძევს ამ მამულს 76,531 მანეთი და 22 კაპ., გადასახდელი აქვს კიდევ 3,928 მან. და 50 კაპ., სულ 80,459 მანეთი და 72 კაპ.

**პანამაროვისა**, ელისაბედ გრიგორის ასულის—სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თავის შენობებით და მიწით 104 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 1 განყოფილების მეექვსე უჩასტკაში. თავნი ვალი 3,770 მან. და 12 კაპ., გადასახდელი 203 მან., სულ 3,933 მან. 12 კაპ.

**სულხანოვისა**, მარიამ ივანეს ასულის—ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი ქვითკირის დუ-

ქანი და გ) თერთმეტი თითო-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილით 276 ოთხ-კუთხი საჟენი და 7 არშინი თფილისში, ა) 1 განყოფ. მეშვიდე უჩასტკაში და 2) მე-11 განყოფ. მეთორმეტე უჩასტ. ჩუღურეთში. თავნი ვალი 16, 965 მ. 57 კაპ., გადასახდელი კიდევ 1,062 მან. და 75 კაპ., სულ 18,028 მან. 39 კაპ.

შავლიევის, იაკობ სვინონის ძის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, შენობებით და მიწით 72 ოთხ-კუთ. საჟენი. თფილისში 1 განყ. მეხუთე უჩასტ., ნემეცესის ქუჩაზე. თავნი ვალი 5,702 მან. 92 კაპ., გადასახდელი—317 მან. 92 კ. სულ 6,074 მან. 84 კაპ.

ამატუნისა, ანნა ნაზარის ასულის—ორ-ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი, შენობებით და მიწით 578 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, ველიამინოვის ქუჩაზე, 1 განყოფ. მეოთხე უჩასტკაში. თავნი ვალი 52,305 მან. 64 კაპ., გადასახდელი 2,592 მან. 80 კაპ., სულ 54,898 მან. 44 კაპ.

ერისთავის, თ. გიორგი გიორგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე მიწები 243 დესიატინა და 1,263 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიის თელავის უეზდში, სოფ. მისტაურში. თავნი ვალი—7,916 მან. 33 კაპ., გადასახდელი 356 მან. 20 კაპ., სულ 8.272 მან. 53 კაპ.

ერისთავის, თ. გიორგი გიორგის ძის—სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 800 დესიატინა. თფ. გუბ. და თფილისისვე უეზდში სოფ. ბოჩორმაში. თავნი ვალი 4,754 მან. 15 კაპ., გადასახდელი 214 მან. 16 კაპ., სულ 4,968 კაპ. 31 კაპ.

ავალიშვილის, თ. ივანე ზაალის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 151 დესიატინა და 300 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბერნიის გორის უეზდში, სოფ. ბრეთს. თავნი ვალი, 8,930 მან. 45 კაპ., გადასახდელი 398 მან., 60 კაპ., სულ 9,329 მან. და 5 კაპ.

აბხაზის, თ. ირაკლი ალექსანდრეს ძის—ორი ნაჭერი მიწა სივრცით 177 დესიატინა და 7 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ და უეზდში სოფ. თხინვალში, თავნი ვალი, 5,942 მან. 53 კაპ., გადასახდელი 524 კაპ. 82 კაპ., სულ 6,466 მან. 35 კაპ.

ორბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 1,434 დესიატინა და 1120 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბ. თრიალეთის საპრისტაოში სოფ. მუსიყალაში ვერანი ადგილით შინდილარით. თავნი ვალი 10,926 მან. 99 კაპ., გადასახდელი 468 მან. 81 კაპ., სულ 11,395 მან. 80 კ.

ორბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 1977 დესიატინა და 1280 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის უეზდში სოფ. ძველ-დუშმანისში, ჩლიხჩურში და ციხის სყდარში. თავნი ვალი 13,865 მან. 90 კაპ., გადასახდელი 592 მან. 8 კაპ., სულ 14,457 მან. 98 კაპ.

ჩოლაყაშვილის ნიკოლოზ თადეოზის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 5,724 დესიატინა და 145 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის უეზდში, სოფ. ყარაბალახში, შალდოს, სამგორს და უჯარმაში. თავნი ვალი 59,601 მან. 75 კაპ. გადასახდელი 2,507 მან. 51 კაპ., სულ 62,109 მან. 26 კაპ.

თარხან-მოურავისა, კნეინა მარიამ ბიძინას ასული—სახნავ-სათესი და საბალახე მიწები 545 დესიატინა და 1645 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბ. გორის უეზდში, სოფ. ცხოველში. თავნი ვალი—6,655 მან. 51 კაპ., გადასახდელი—292 მან. 23 კაპ., სულ 6,947 მან. 74 კაპ.

სტეფანოვის, გეურქ პავლეს ძის—ცარიელი მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟენი მე-11 განყ. მეთერთმეტე უჩასტკაში, ქ. თფილისში. თავნი ვალი—1,200 მ., გადასახდელი—92 მან. 20 კაპ., სულ 1,292 მან. 20 კაპ.

ყარაჯევის, ივანე სტეფანეს ძის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მიწით $52\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თფილისის 1 განყოფ. მეცხრე უჩასტკაში, ვარანცოვის ქუჩაზე თავნი ვალი—400 მან., გადასახდელი 41 მან. 62 კაპ., სულ 441 მან. 62 კაპ.

ჟურულის, დურმიშხან შალვას ძის—ადგილი ხის სახლით, 213 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიის ქ. გორში. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 261 მან. 26 კაპ., სულ 2261 მან. 26 კაპ.

მეხტიევის, ხადიჯ ოსკარ-ოღლის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა 547 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფ. მეცხრე უჩასტკაში, ბოტანიკურ ბაღთან. თავნი ვალი 1200 მან., გადასახდელი 65 მან. 34 კაპ., სულ 1,265 მან, 34 კაპ.

მანუკიანცების, ბაგრატ და ალექსი გეურქის შვილებისა—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი 143 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, მე-2 განყ. მეცამეტე უჩასტკაში, ბეზიმიანნის (უსახელო) ქუჩაზე. თავნი ვალი—1000 მან., გადასახდელი 97 მან. 58 კაპ., სულ 1,097 მან. 58 კაპ.

ბასტამოვისა, ნინო იაგორის ასულის—ბაღის ადგილი 7 დესიატინა და 1440 ოთხ. კუთხი საჟ. თფილისის უეზდში, სოფ. ზემო-ავჭალას. თავნი ვალი—2,000 მან., გადასახდელი 27 მან, 32 კაპ., სულ 2,017 33 კაპ.

ზარიძის, ნიკოლოზ გრიგოლის ძის—ერთ-ეტაჟიანი სახლი და თან ადგილი 55 კაპ. თფილისში, მე-2 განყოფ. მეთორმეტე უჩასტკაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი—500 მან., გადასახდელი 49 მან. 27 კაპ, სულ 549 მან. 27 კაპ.

(3—1)

**გორის უეზდში** სოფელს ქარელში მცხოვრებელი თ. ივანე [illegible] **ციციანოვი აძლევს იჯარით ანუ** ლო-რებუ[illegible]ის ფასათ **გასყიდვით** თავის ყოველს უძრავს **მამულებს:** სახლს, ბაღსა და ერთი მეოც-და-თექვსმეტედს საციციანოს მთასა მახლობლად რკინის გზის სტანციასთან.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე სოფელს ქარელში მამულის მეპატრონესთან.

(3—3)

**„წიგნის-ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარე მოიწვევს უფ. შემდგენელთ და ნამდვილთა წევრთა საზოგადოებისა საერთო ყრილობაში შემოსავალ-გასავლის მოსაზრებულ ანგარიშის (სმეტა) გაშინჯვისა და დამტკიცებისათვის.**

**ყრილობა იქნება 29 მაისს, სამშაბათს 8 საათზე, საღამოს თავად-აზნაურობის ბანკის ზალაში.**

(5—3)

ქალაქს **ახალციხეში გაიხსნა კამფეთეულის ზავედენია,** რომელშიაც იყიდება ჩინებული, გრანიცის სხვა და სხვა ფერადი კამფეთეული მყინვარე შაქარი, ჰლვა, რასათლუხუმი, მურაბეულობა და ყოველ გვარი სხვა ტკბილეულობა.

ყველა ეს საქონელი ამ ზავედენიაში სხვა ადგილებზე უფრო **იაფად ისყიდება.** მყინვარე შაქარი ბევრს ვინც იყიდის, ფუთი ღირს 8 მანეთი და 40 კაპ., წვრილად ფუთი—9 მან.

ეს კამფეთეულის ზავედენია იმყოფება ალექსანდროვსკის ქუჩაზე, ფრანგების ეკკლესიისა და ხაზინის მახლობლად, ლევან დათებოვის სახლში.

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება **ქვა-მარილის მაღაზია ქ. გორში და ხაშურში.** გორში—გიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუცქუნია არუწოვთან.

გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისში ისყიდება.

გრიგოლ ბარმოვი და გიორგი რომანოვი.

(15—9)

**თფილისში** უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. პოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

**ალმანახი**

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

*Дозволено цензурою. Тифлисъ 28 мая 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი რედ. ს. მესხი.